

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

არასტანდარტული დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის ხელშეკრულება # (თარიღი) -----

„აღნიშნული სერტიფიკატი არის არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატი და მასზე არ ვრცელდება კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების მოთხოვნები“

დისკონტური სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთი

- დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
- დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის წლიური საპროცენტო განაკვეთი _____
- დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი _____

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის დისკონტის ოდენობა: _____
- დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის თანხა და ვალუტა: _____
- დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება და ვალუტა: _____
- დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადა: _____
- დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისების საკომისიო: _____
- ბანკის თანხმობის შემთხვევაში, დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე განაღდებას (გამოსყიდვა) ბანკი უხდის სერტიფიკატის მფლობელს სერტიფიკატის თანხას და არა ნომინალურ ღირებულებას და მფლობელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულების _ % ის ოდენობით, ხოლო მფლობელზე გასაცემი თანხა დაკორექტირდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
- ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს „სადეპოზიტო სერტიფიკატით სარგებლობის ძირითადი პირობები“, რის შესახებაც ბანკი ორი თვით ადრე ატყობინებს მფლობელს, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე. ბანკის მიერ შეტყობინება იგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით ან ელექტრონული ფოსტის ან ინტერნეტ ბანკის ან მობაილ ბანკის მეშვეობით.

თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში.

ბანკის წინაშე არსებული პრეტენზიები სერტიფიკატის მფლობელმა შეიძლება წარადგინოს ზეპირად, სტანდარტული წერილობითი ან თავისუფალი წერილობითი ფორმით ბანკის ნებისმიერ გაყიდვის წერტილში ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: info@vtb.ge

უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!¹

ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს²

ლარის შესაძლო 15 % იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი _____³

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე +995 (032) 2406 406

ხელშეკრულება სადეპოზიტო სერტიფიკატით სარგებლობის შესახებ

ქ. _____ 20__ წელი

ერთის მხრივ სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ _____ ფილიალი [შემდგომ „ბანკი“] წარმოდგენილი _____ სახით და მეორეს მხრივ _____ [შემდგომ „სერტიფიკატის მფლობელი“] ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სადეპოზიტო სერტიფიკატით სარგებლობის შესახებ:

1. სადეპოზიტო სერტიფიკატის ტიპი: **არასტანდარტული დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატი**

1¹. დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული

2. სადეპოზიტო სერტიფიკატის დისკონტის ოდენობა: _____

3. დისკონტური სერტიფიკატის წლიური საპროცენტო განაკვეთი _____

4. სადეპოზიტო სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: **წლიური** _____

5. ლარის შესაძლო 15 % იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი⁴: **წლიური** _____

6. სადეპოზიტო სერტიფიკატის თანხა და ვალუტა: _____

7. სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება და ვალუტა: _____

8. სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადა: _____

9. სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისების საკომისიო: _____

10. სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადის ბოლოს სერტიფიკატის მფლობელი მიიღებს სერტიფიკატის ნომინალურ ღირებულებას.

11. სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე განაღდება შემთხვევაში [გამოსყიდვა] ბანკი უხდის სერტიფიკატის მფლობელს სერტიფიკატის თანხას და არა ნომინალურ ღირებულებას და სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა სერტიფიკატის ნომინალური ღირებულების _ % ის ოდენობით, ხოლო სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელზე გასაცემი თანხა დაკორექტირდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

12. ბანკის წინაშე არსებული პრეტენზიები სერტიფიკატის მფლობელმა შეიძლება წარადგინოს ზეპირად, სტანდარტული წერილობითი ან თავისუფალი წერილობითი ფორმით ბანკის ნებისმიერ

¹ იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

² იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

³ იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

⁴ იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

გაყიდვის წერტილში ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: info@vtb.ge. ბანკის მიერ პრეტენზია განხილული იქნება ერთი თვის ვადაში და შესაბამისი პასუხი კლიენტს მიეწოდება იმავე ფორმით, რა ფორმითაც იყო წარმოდგენილი პრეტენზია.

13. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით სერტიფიკატის მფლობელი ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება „სადეპოზიტო სერტიფიკატით სარგებლობის ძირითად პირობებს“, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ გვერდზე: vtb..ge, წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და არეგულირებს მხარეთა უფლება - მოვალეობებს, დაკავშირებულს სადეპოზიტო სერტიფიკატით სარგებლობასთან.
14. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს „სადეპოზიტო სერტიფიკატით სარგებლობის ძირითადი პირობები“, რის შესახებაც ბანკი ორი თვით ადრე აცხადებს მფლობელს. ბანკის მიერ შეტყობინება იგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით ან ელექტრონული ფოსტის ან ინტერნეტ ბანკის ან მობაილ ბანკის მეშვეობით. თუ სადეპოზიტო_სერტიფიკატის მფლობელი შეცვლის მითითებულ ტელეფონის ნომერს ან ელექტრონული ფოსტის მისამართს და ამის შესახებ არ აცნობებს ბანკს, ეს უკანაკნელი ხელმძღვანელობს მისთვის ცნობილი რეკვიზიტებით და მათზე შეტყობინების გაგზავნა ითვლება სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელის მიერ ინფორმაციის მიღებად.
15. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე სერტიფიკატის მფლობელი დავალებას აძლევს ბანკს, რომ მის _____ ანგარიშზე არსებული თანხა, წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლში მითითებული ოდენობით გადარიცხოს შესაბამის ანგარიშზე, რათა სერტიფიკატის მფლობელის მიერ მოხდეს სერტიფიკატის შესყიდვა.
16. სადეპოზიტო სერტიფიკატის განსათავსებლად გახსნილ ანგარიშზე თანხების შეტანა და მათი უკან დაბრუნება/გადახდა ხორციელდება სერტიფიკატის მფლობელის _____ ანგარიშის მეშვეობით და სერტიფიკატის მფლობელს უფლება არა აქვს სერტიფიკატის ფლობის მთელი პერიოდის განმავლობაში დახუროს ანგარიში, რადგან ბანკში ანგარიშის ფლობა წარმოადგენს სერტიფიკატით სარგებლობის ერთ - ერთ ძირითად წინაპირობას.

17. დეპოზიტის დაზღვევის შესახებ

- 17.1. 2020 წლის 1 ივლისიდან, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ კანონის თანახმად, ყველა ფიზიკური პირის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში ყველა ფიზიკური პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეული დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge
- 17.2. რა თანხა ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სააგენტოს მიერ? – ერთსა და იმავე კომერციულ ბანკში კლიენტის ანგარიშებზე (მათ შორის უცხოური ვალუტით) არსებული თანხები დაჯამდება და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურებას დაექვემდებარება 15,000 ლარამდე თანხა, ხოლო თუ თანხა აღემატება 15,000 ლარს, დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
- 17.3. როგორ ვისარგებლო დეპოზიტების დაზღვევით? – კომერციულ ბანკში ყველა ფიზიკური პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე.
- 17.4. კომერციულ ბანკში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების პირობები – სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღე, მიუხედავად იმისა, მოცემულ მომენტში კომერციულ ბანკს გააჩნია თუ არა შესაბამისი სახსრები.
- 17.5. ანაზღაურების ვალუტა – ლარი.

18. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განმხილველი არბიტრაჟი განსაზღვრულია სადეპოზიტო სერტიფიკატით სარგებლობის ძირითადი პირობებით.
- 19¹. მხარეთა შორის წამოჭრილი უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 19². მხარეთა შორის ურთიერთობა/კომუნიკაცია განხორციელდება ქართულ ენაზე.
- 19³. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2).
19. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.
20. მხარეები:

ბანკი	სერტიფიკატის მფლობელი
ს/კ 202906427 საბანკო საქმიანობის ლიცენზია N226ა	